



ხელის მოწერა და დასაქმებულ მკვლევარნი მიიღება „საქართველოს რევოლუციური კანტორაში“ ყოველდღე კვირა უძეგების გარდა, დღის 9-3-მდე, საღამოს 5-7-მდე.

ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მკირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело“, поч. ящикъ № 87.

განცხადების შპანი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამელო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევაზე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცემა—40 კ. მოვარგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (ნ მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლი-სამდე.

მისამართი: გ. Тифлисъ, редакция „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76. კანტორა უმოჩიროსად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნო-ბონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუფა.

წინა გაბრიელის ასული ივანოვიკისა შვილებითურთ: აპოლონი, ტარასი, ვლადიმერი, ნიკოლოზი, სოფო და რაფიელ მწუხარებით აუწყებენ ნა-თესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 9 მარტამობისთვის კახის წმიდა გი-ორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი პირვე-ლის შვილის შვილის და დანარჩენების დისწულის გერმანიის ფრონტზე გმირულად დაღუპულ პოდპორუჩიკ

ნიკოლოზი და ვიქტორის კის გულისაგანი

სულის მოსახსენებლად.

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 10-16 აგვისტომდე.

ორშაბათი—„Волнахъ страсти“, ოპერეტა-მოზაიკა. ბალში პატარა ორკესტრი. სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი. ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს არტისტი სახელმწიფო თეატრისა ი. თამაშ-შეიჩი.

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი.—ბალში დიდი ორკესტრი.

ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა პიესა „დუღილი“ და „გულმა იგრძნო“. ბალში სამხედრო ორკესტრი, თეატრში შესვლა უფასოა.

პარასკევი—როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე არავითარი გასართობები არ იქნება.

შაბათი—სიმფონიური კონცერტი, ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით; მონაწი-ლეობას მიიღებს ი. პ. სარაჯიშვილი.

კვირა—საბავშვო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით, ცეკვით და სამხედრო ორკესტრით.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერ-ტებისა საღ. 9 საათზე, საბავშვო საღამოსი 5-დან 9 საათამდე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხილან ჩვეულებრივ ფასს.

ამ ცოტა ხანში ორი გასტროლი საიმპერატორო თეატრების არტისტისა ა. მ. პასხალივისა.

პირველხარისხიანი სასაღილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

შავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დღის 9 საათიდან 12 საათამდე. საღილო 1-6 საათამდე. საღილო 2, 3 და 4 თაფიანი. აგრეთვე ჩვეულებრივი სა-კმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყა-ლი, ცხელი „პიროცკები“. თვითურად მოსალეოთ შეღავათი ეძლევათ. საღილოს ვგზავნით ოჯახებშიც. სასაღილო ღიაა დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატვისცემით რაჟდენ იხსელიანი.

იმ საზიფელ ცეცხლის გამო, რომელმაც იხსნა კლავი თეატრი და თავად-აუხარობის სხვა შემოგები, დროებით დაკარგა

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინააღმდეგ შემოგები, სასახლის ქ., თ.-ა.წ. მარკასლაში,

იგი გამშენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხო-ვან სასაღილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ვეროპული და ჩვენებური საკმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქ-ზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასაღილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდევ და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საკმელები. თვითურ მოსაღილოთ დიდი შეღავათი.

პატვისცემით დ. გიგობერი.

დოქტორი ივანოვიჩი

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნე-ულეობიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის ავარკში.

კბილის ექიმი **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დღით 9-21 საღ. და საღ. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპინი შესახვევის 21.

დ. გ. ო. რ. ში **ექიმი ნ. მ. კლიმაშვილი** იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულე-ობიან ავადმყოფებს. აკაის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ოვის ღლიური

მიმოსილვა

რიგის ყურეში გერმანიის ძლი-ერი ესკადრა შემოსულა და ხელმე-ორედ შეჭმია რუსეთის ფლოტი. ბრძოლა გრძელდება. მის ბედს აღ-ბათ ხვალ გავიგებთ. ჯერ არ ვი-ციოთ, რანაირ გემებისგან შესდგება მოპირდაპირის ესკადრა: მძლიერ დრედნოტებისგან თუ ძველი და სანაპირო ჯაგუნოსებისგან. მაგრამ საფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც ათიოდე დღის წინაღ გერმანე-ლებმა ვერ მოახერხეს რიგის ყურე-ში შემოსვლა, ხელმეორედ ისინი უფრო დიდის ძალებით მოადგებო-დნენ იმ დანადგმულ ქსელს, რომე-ლიც სრუტეში იყო გაბმული რუ-სების მიერ. ეს ქსელი, აკოროცა სჩანს, გარდევულია, და მძლიერ უნდა მომხდარიყო ყურის კარებში, რომელიც მოპირდაპირეს უჭირავს. ცხადია რომ რუსის ესკადრა ცდი-ლობს ან ეცდება კარის გარღვევის და სამშვიდობოს გასვლას. მოახერხა მან ეს ძნელი საქმე და წაუყიდა თუ არა გერმანიის უფრო სწრაფს ეს-კადრას, ამას ხვალ გავიგებთ. სა-ერთოდ კი უნდა ვთქვათ, რომ სა-ზოგადოდ გერმანიის ფლოტი გა-ცილებით უფრო ძლიერია რუსეთის ფლოტზე, ამიტომ მის მიერ რიგის ყურის ხელში ჩაგდება მოულოდნე-ლი არ უნდა იყოს. საინაშინო მო-პირდაპირე არაფერს დაფრიდება, რადგან რიგის ყურეს მისთვის ამ ემად უდიდესი მნიშვნელობა აქვს: მან ზღვით უნდა უზრუნველყოფს თვისი ჯარის უკიდურესი მარცხენა წვერი, რომელიც რიგის უნდა მი-ეზღინოს და ამით გაიჩინოს ახალი საუკუეთსო საკეები გზა ფეხმოსაკი-ლი ნავთსადგური.

რიგიდან კონომდე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. კონოს მეციხოვნე ჯარის გადარჩენილი ნა-წილი შეუერთდა დანარჩენ ჯარს. ვინაიდან კონოს აღება და აქედან გერმანიელთა მოძრაობა სამხრეთ-აღ-მოსავლეთისკენ დიდ ხიფათს უქადის რუსის ჯარს საერთოდ, და კერძოდ — ბელოსტოკ-ბრესტის ხაზს, ამიტომ მოსალოდნელია, რომ კონო-დგინ-სკის პირით უსასტიკესი ბრძოლა გაიხადება.

დასავლეთიდან მოპირდაპირის ჯა-რი მოადგა ბელოსტოკისა და ბრეს-ტის მოწინავე სიმაგრეებს, ხოლო რკინის გზა ამ ციხეთა შორის, რო-გორცა სჩანს, ხიფათში უნდა იყოს ჩაყარდნილი, რადგან 5 და 6 აგვის-ტოს ბრძოლა სწარმოებდა ამ გზის ნაპირზე. ბრესტის სამხრეთით მაკენ-უნის ჯარი ბუგის მარჯვენა ნაპირს მოსდებია, ჩრდილო-აღმოსავლეთის-

დეკაუზები

თბილისი, 7 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 5 აგვისტოს მთელს ფრონ-ტზე არავითარი ბრძოლა არ მომხდარა. პეტროგრადში, 6 აგვისტო, ოფიცია-ლი. მთავარსარდლის შტაბისაგან. გერ-მანიის ფლოტის ძლიერი ნაწილი შე-მოიჭრა რიგის ყურეში. რუსებისა და გერმანელების გემებ შორის ბრძოლაა. სხელეთზე, რიგის დასავლეთიდან მო-ყოლებული მდ. ვილიის ქვემო ნაწი-ლამდე, მთელ ფრონტის გასწვრივ არ-სებით ცვლილება არ მომხდარა. რო-გორც კი კონოს სიმაგრეები ხელში ჩაუვარდა გერმანთა ჯარს, ციხის გარ-ნიშვნის ერთი ნაწილი გამოეშურა და შეუერთდა იმ რუსის სავლეთ ჯარს, რომელიც იდგა იანკო-კომედარის რკი-ნის გზის დასავლეთით გამართულ პო-ზიციებზე. კონოს სამხრეთით, რუ-სის ჯარს ჯერ კიდევ უპყრია მდ. ნე-მანის მარცხენა ნაპირი. გერმანებმა მკაცრი იერიშები მოიტანეს 5 და 6 აგვისტოს განმავლობაში მთელ იმ ფრონტის გასწვრივ, რომელიც იწყება ოხოვეცის სამხრეთით და მიჰყვება მდ. ნარევის ზემო ნაწილს და ბუგს. ნარე-ვის მარჯვენა ნაპირას ოსტრენკოვა-გურას რაიონში, ოტრაბალია-ბელსკის ფარგალში და ლიპნიცთან, ბრესტადან 20 ვერსის-მანძილზე, გერმანიის ცხა-რე შემოტევის რუსის ჯარი უმკლავ-დება. გერმანიების უკუგდებაში, ლიპ-ნიცთან მონაწილეობა მიიღო რუსის კავალერიამ, რომელიც ცხენ-და-ცხენ ეკვეთა დიდ-რიცხოვან მტერს. ვლო-დავის აღმოსავლეთით, ბუგზე, მას

შემდეგ რაც გერმანებმა მდინარის მა-რჯვენა ნაპირზე ფეხი მოიმაგრეს, მათ მთელი თავიანთი ძალაღწევილი ექვს საათიდან წარმართეს პიშისკენ. ნოვო-გოროდიცისკისთან, მდ. ვკრის მარცხენა ნაპირის დაქერის შემდეგ, გერმანებმა დიდძალ ჯარს თავი მოუყარეს ჩრდი-ლო მხარეში, რომელიც მდებარეობს მდ. ვკრის დასავლეთ ნაწილსა და მდ. ვისლას შორის. განუწყვეტელი ზარ-ბაზანის სროლით და აურაცხელი ყუშ-ბარების მოყრით გერმანებმა თითქმის გაანადგურეს ამ ფარგალში მოყვლი-ლი რუსების სიმაგრეები. 5 აგვისტოს საღამოთი გერმანები გარს შემოკადრეს ერთ-ერთ სიმაგრეს, რომელიც მდებარეობს ვიშისლოვას რაიონში, შემდეგ ჯარის მწყობები ჯაკოჩინის მიდამოში ზურგიდან შემოგზავნეს, მიუხედავად დიდი ზარალისა. ამან აიძულა რუსის ჯარი 6 აგვისტოს დამთ უკან დახეუ-ლიყო ძველ სიმაგრეების ხაზზე, ცენ-ტრალი ზღუდის წინ. მთელი მეორე დღის განმავლობაში გერმანები ზარ-ბაზანს უშენდენ ორს ამ სიმაგრეთა-განს, დაანგრიეს ისინი და უშეშეშეხი იერიშების შემდეგ დაიპყრეს ამ ციხე-ების ნანგრევები, რის შემდეგაც ზარ-ბაზანი დაუშინეს ცენტრალ ზღუდეს. ნარევის ხიდი და ამ ჩრდილო ნაწილის მიტოვებული სიმაგრეები რუსებმა ააფე-ოქეს.

ქურნალ-გაგათიბიდან

ბალკანეთზე.

ოსმალეთა იტალიას დასთანხმდა მის ქვეშევრდომების გაშვებას. მოლაპარაკე-ბა ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის კარგად მიმდინარეობს. შესაძლებელია შესთანხმდნენ ბუქარესტის ხელშეკრულე-ბის გადარსიჯვას. (კ. ს.)

გერმანიის და ბალკანეთი.

გერმანიის თანდათან უკრუდეება სა-ბერძნეთის და ბულგარეთის იმედს. ბულ-გარ-ოსმალეთა მოლაპარაკების უცბად შეწყვეტამ გერმანიით ჩააფიქრებია. არ იანა გერმანიის აგრეთვე ოსმალეთიდან იტალიელთა გაშვების ამბავი. გაზეთები ყოველ შემთხვევისათვის ამზადებენ სა-ზოგადოებას ბალკანეთზედ მოსალოდნელ ამბებისათვის. (კ. ს.)

შეთანხმებული და საბერძნეთი.

შეთანხმებული სახელმწიფოში 48 სა-ათის ვადიან ულტიმატუმის წარდგენას უპირებენ საბერძნეთს: თუ ის ამ ხნის განმავლობაში არ დამორჩილდება, ბლო-კად დაიწყება, კრიტს დაიპყრენ და სალონიკშიც ჯარს გადასამენ. სალო-ნიკის დაქერას აგვისტოს ათისთვის მო-ვილიან. მიზეზად—კვლავ კონტრაბანდის ზიდვასა ჰქვია. (კ. ს.)

მეფე კონსტანტინე სალონიკის შესახებ.

საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს აღი-უტანტი ერთ-ერთ სალონიკის ვაჭრის ატუბინებს მეფე კონსტანტინეს სიტყ-ვებს: მაკედონია შეთანხმებულია სისაფ-ლოოდ გარდაიქცევა, თუ ისინი ჩემს სა-ლონიკში ჯარის გადმოსხმას ვაპბედავენო. (კ. ს.)

ვილჰელმი და კანცლერი.

ვილჰელმი უქმყოფილოდ არის გან-წყობილი თავის კანცლერ ბეტმან-ჰოლ-ვეგთან, მოვილიან კანცლერის გადაყენე-ბას. მისი მოადგილე იქნება ბელგის გე-ნერალუბერნატორი ბისინგი (კ. ს.)

გენიზელის პრემიერია.

გენიზელისმა მიიღო კაბინეტის შედ-გენის დავლება მეფესთან პირობის დაუდებლად. თვითონ გენიზელისი სა-გარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში იღებდა. (კ. ს.)

რუმინეთში.

პოლიტიკური აგენტატორები დაიარე-ბიან მთელს რუმინეთში და ხალხს აუ-წყებენ, რომ დღეა ეამი ავსტრიასთან

ქართული
ზინუნიონი 125



ოფიცერი ალექსანდრე მდივანი
მოკლეს 21 მაისს 1915 წ.



ობერ-პროკურორი სინოდისა
ა. დ. სამარინი.



იმპერატორი ვილჰელმი თავის შტაბით ბრძოლის ველზე.



სამართლის მინისტრი სენატორი
ხვოსტოვი

ვაჟას ხმოვნას

(მიზაძე)

მთები ნისლი დაპატარა,
ტრემლი დაგუბებული,
ფოთლოთ ცვენით ლალი ტყე
მძიმედ დამარებულა.

ნაკადლოც კვითინით
მოსტკვამს, გამწარებული;
იაღონის ალერსი
ვარღზე გაქვავებული.

მწუხარების კორღზედა
მუხა ზაფიქრებული;
მნათნი აღარ ნათობენ,
ენა დაღუპებული.

ნიავი კი სისინით
ჩქარობს, გამაღებულა
და უსიტყვოდ მეტყველებს:
„ვაჟა გათავებული“
მ. ქავთარაძე.

ალექსანდრე გილი-
ვანის ხმოვნას
(იხილეთ სურათი)

21 მაისში გერმანელებთან ბრძოლაში
მოკლეს სრულიად ახალგაზრდა, 23
წ. ჯან-ღონით სავსე ალექსანდრე-
გული მიკვდებდა—სული მეხუთება და
ცრემლები თვალზედ აღარ მიზრება,
როდესაც მაგონდება ეს მომავალი ნამ-
დვილი ქართველი. მაზედ დიდ იმედებს
ამყარებდა ყველა, ვინც მას დაახლოვ-
ებით იცნობდა. იმის და მიუხედავად,

რომ თორმეტი წლის განმავლობაში
მხოლოდ ორჯელ იყო სამშობლოში და
დედა-ენაც კი დაივიწყდა, მაინც მის
ნორჩ გულში ღრმად იყო ჩანერგილი
სამშობლო კუთხის სიყვარული. მის
მოწერილ წერილებში ბავშობიდანვე
ჩანდა, რომ ქართული სული და გული
რუსული ასობებით იყო გაღმორცმული.
მომავალ ზოგი ერთი სიტყვები მის წე-
რილიდან:

„დედა, ზენ ნუ ჯავრობ რომ ქართუ-
ლი დამავეწყდა, ჩემი მიზანი მხოლოდ
ის არის, რომ გათავებისას დავბრუნდე
სამშობლოში და პირველადვე დედა-ენა
შევიწავლო. რომ მეცხოვრებოდე
მანდ.“

მეორე წერილში სწერს: „დედა, აქ
ერთი ქართველი გულითად მეგობარი
მყავს, რომელიც ძალიან მიყვარს, რად-
გან ჩუმად ქართულს მასწავლისო“. მე-
სამე წერილი დაწერილია მამინ, რო-

ცა ოფიცრად გაამწესეს: „ზენ ნუ
ფიქრობ ნურაფერს, ჩამოვალ და ჩემს
სამშობლო ქერას ავაყვავებ და დავა-
ტოვებ სამშობლოს სიყვარულსაო...“
ბევრი ამისთანა საგულისხმო წერილებია
მაგრამ ესეც საკმარისია ნიშნად სუ-
ლიერ ტანჯვისა გარუსებულ-ქართვე-
ლისა, რომელსაც ბავშვობა და ქაბუკო-
ბაც რუსულ სკოლაში—ისიც სამხედრო
ში გაუტარებია, მაგრამ მის გრძობა-
ზედ ვერ უმოქმედია იმ
პაერს, რომელიც გარდაქმნას უქადის
ადამიანს, მაგრამ მას მაინც გულში სამ-
შობლოს სიყვარული უნერგია. დიხს,
ბევრია ამისთანა ქართველი, მაგრამ
ცხოვრების უკუღმართი ჩარხი მათ სა-
შუალებებს არ აძლევს სამშობლოში ცხო-
ვრებისა და მუშაობისას.

პატარა ალექსანდრე ძრეელ ღირბი
დედ-მამის შვილი იყო; მისი აღზრდა
დედ-მამას არ შეეძლო და ამიტომ ბი-

ძამ—ქართველ საზოგადოებაში ცნობილ-
მა გენერალმა მდივანმა აღზარდა. მაგ-
რამ პატარა ალექსანდრეს ბედმა უმეტე-
ნა: სწორედ იმ დროს, როცა უკვე სა-
შუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნე-
ბულიყო და თავისი მიზანი განხორციე-
ლებინა,—შორს გადაკარგულ ქვეყანაში
დაღვარა უმანკო სისხლი.
საუკუნო იყოს ხსოვნა ზენი, ძვირფა-
სო დაუვიწყარო მეგობარო!

გ. ს.—შვილი.

დელის პრეზენდი და „ვაჟა-
სის“ მოჯანობა

საზოგადოებრივი მოღვაწის
და პარტიული მოღვაწის
ადგილები

(ანჩინის წიგნი-გამოწერი და ჩვენ)

სოციალ-დემოკრატიკა შორის საინტე-
რესო ექსკურსია მოხდა ამ ათი-თხუთმე-
ტი წლის განმავლობაში ეროვნულ სა-
კითხის გარშემო. მართალია, პირველად
„საერთაშორისო“ ყოველსფერს არა
ნიშნავდა და იმ დროინდელი ქაბუკი მე-
ბაირახტრე ახალის მიმდინარეობისა ბ-ნი
ნ. ჟორანია კრძალვით ქედს იხრიდა
ერის წინაშე საზოგადოდ და კერძოდ
საქართველოს სახელის წინ, მაგრამ რო-
დესაც ყოველსფერს ბურჟუაზი გაიხვია,
კეთილგონიერება მხოლოდ ერთმა რამ
ჩანთქა და ეს ერთი რამე რევოლუციის
სტიქინი იყო, მაშინ ჩვენმა რაინდმა
და მისმა შტაბმა ბურჟუაზი შეკერეს
საქართველო და, როგორც ერთი კაცი,
ისე გაიყოფის საოცნებო ექსკურსიაზე.
ხალხი მთა ენდა, ხალხი მოაჩივლებით
მისდევდა მათ, თუმცა არ ესმოდა ეს
უფრო გრძელად მისთვის რამდენად
სასარგებლო იქნებოდა, de facto, რას
უქადა მას ექსკურსიით რომ საღვთო
შორს და უცნაურ ქვეყნისკენ მისწრა-
ფებოდნენ, რომლის ყოველი სადგური
უსახელოდ და ისევე უფორმოდ გამოი-
ყურებოდა, როგორც მთავარი სადგომი
—სანუკვარი სოციალზმი. საოცარი ის
იყო, რომ ეს ულტრა ვითომცა რეა-
ლისტები სინამდვილეში მეოცნებეთა ოც-
ნებაზე უფრო მხატვრობით მფრინავე
გამოდგნენ. დიკარგა კეთილ აზროვნე-
ბის კრიტერიუმი, დიკარგა ყოველგვარი
ლირებულება, მაშასადამე, შეიცვლებო-
და ერის ღირსებაც, ამიერიდან უნ-
და გამოცხადებულიყო, რომ ერი, ეროვ-
ნება ეს არაფერია, დასავლობი, რაც
არის, მხოლოდ ერთი ინტერნაციონალი,
რაც არის მხოლოდ საერთაშორისო.
ეს კი მომასწავლებელი იყო იმ ორგისა,
რაც „საქართველოს“ სახელწოდების
გარშემო გაიმართა. ვინ როგორ და რა
სახით შეურაცხყოფდა მას,—აი დიდი
საზრუნავი იმ დროინდელი აღმავრებით
გატაცებულ ოცოლომეტიონურ სოცია-
ლიზმის მებაირახტარებისა. ივინი წუთ-
საც არ უშეგბდნენ, რომ თვით სამ-
შობლოს ჩრდილისთვისაც კი მო-

ხალხმა „მისი ნაციონალური დროში
ერთი დაკრებით უარყო და მის ალაგს
აფორილა ინტერნაციონალური...“ არა
ნაკლებ პათეტოზს არის მოკლებული
არა ნაკლებ საუტოხო ამბავი, რომ
საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაი-
ნახა იგივე ანტირუსული და ანტიომ-
ხური მიმდინარეობა...“ რომ ქარ-
თველი „ხალხი უარყოფს ნაციონალ-
ურ პოლიტიკას... ეს ქართველი ხალხის
ისტორიული გზაა, რითაც იგი განსხვავ-
დება სხვა კულტურულ ერებისაგან...“
ეს საარაკო დებულებანი ოდნავ სი-
მართლეს რომ შეჰფერებოდა, მაშინაც
კი, დიხსაც, ქართველი ერი მართლა
ფენომენი იქნებოდა მსოფლიო ისტორი-
აში. იგი საფრანგეთს, ინგლისს, გერმან-
ეთს, აღიარს ვიტყვი კულტურულად
ჩამორჩენილ რუსეთს ავანგარტად უნდა
დასდგომოდა და უფუციბინა ახალი სიტ-
ყვა აზიის კარით შემოსულ ახალი ხალ-
ხისა: „ნათელი საქართველოსია... განავ-
ნათობთ თქვენს...“ მაგრამ ეს ხომ სიცი-
ლის მეტს არას გამოიწვევდა! მაღლობა
ღმერთს, ქართველის სიტყვა ისევე ქარ-
თველებშივე რჩება, თორემ თქვენი მტე-
რია, თუ ანგარიში უცხოელთა შორის
ვისმეს გაეწია და, ვთქვათ, ნ. ჟ.-ს ასეთი
მარგალიტი აფორიზმები წაკითხა, სი-
ცილით მოკვდებოდა. ჩვენში კი ამ მო-
ძღვრებას ზემით შეგხდნენ. საფეჰტო
გამოსვლა ახალი ფლავილანტებისა ახლ-
ახალ საქუროზო მასალებს იძლეოდა,
ახალ-ახალი უცნაურობით აბეჭებდნენ
პროლეტარიატად მონათლულ ქართველ
ხალხს და ვეღარ ამჩვენდნენ, თუ ასეთი
ვითომდა მარქსიზმის ad majoram gloria
ღრიანტალს როგორ ულტრა ნიღბისტურ
უტილიტარინამდე მიჰყავდა ივინი და
ანტიკულტურულ ტენდენციებით რო-
გორ აყენებდნენ ქაოსის ქარბუქს. განა
გასაკვირველი იქნებოდა, თუ ამიერიდან
ეკონომიურ მატერიალიზმის ფილოსოფი-
ა მხოლოდ კლასიურ სუბიექტივინამთ

გარდქვეცვოდა და ერთობის დროში
ჩვენებური სოციალიზმის მებაირახტრენი
წარმოიდგენდნენ, ვითომც მართლა მხო-
ლოდ ქართველი ერი, უარყოფელი
ეროვნული მდრეკილებისა, სოციალზ-
მის წინამორბედად გახდებოდა და არა
თუ რუსებზე, არამედ დასავლეთელებზე
ადრე განახორციელებდა და ახლო მო-
მავალში დაამყარებდა სამეჰქვენო სამო-
თხის წულკოსს!
მაგრამ ყოველი უნიდავო ენთუზიაზმი
ერთა მოტენილი რჩება. ფრთა მოტენი-
ლი დარჩა ჩვენებური სოციალ-დემოკრატი-
კა აღმავრენა. ზენიტზე ასულებმა თვა-
ლით იხილეს კატასტროფა გათამამებულ
ფორმულებისა. მათ ფრთები იბრუნეს.
ექსპრესი მოატრიალეს. მართალია, ბევრ-
მა დაბრუნება აღარ ისურვა, მაგრამ
უმეტესს ნაწილი მიადგა კასას და billets
de retour-ი მითხოვა, რათა შორს
დარჩენილს სამშობლოში დროვე მოეს-
წრო და განახლებულს ენერგიით შეს-
გომოდა ახალ მიმართულების იდეოლოგ-
თეორეტიკოსობას.
მაგრამ ერთი რამ არის აღსანიშნავი:
აბასოდეს ქართველ მარქსისტებს საკუ-
თარი კუქით და საკუთარი რუქით არ
შესძლებიათ ექსკურსიაზე სიარული.
როდესაც მიდიდნენ გატაცებით, რო-
დესაც საქართველო ქვეყნის მართლად
გამოაცხადეს, სპარსეთისკენაც კი არ
იშურებდნენ საკუთარ ძალებს ამბოხების
დასავგრვიენებლად, ჩვენი მარქსისტები
ყურ განაბვით ისმენდნენ რუს გენერლე-
ბის ბრძანებას. როდესაც რუს ს. დ-ტულ
გენერალურ შტაბში უთანხმოება მოხდა
და პარტია დაიქსაქსა, აქაც, ქართვე-
ლებში, იგივე სული გადმოვიდა. როდესაც
ეროვნულ საკითხმა თავა წამოიყუ-
იქ, აქაც იმავე სიმბტომებმა იჩინეს თავი.
ჩვენ ვხედავთ, რომ იგივე ნ. ჟორ-
ანია საკუთარ ხელმოწერით თუ ფსევ-
დონიმებით, ათასჯერ იცვლის ფორმს
და დღესაც გადაჭრით ვეღარა უთქვია
რა, შემდეგ საქარული და მანანი მისნი
იზიარებენ და ქართველ ერს აუფინებენ
ხან თვით გამორკვევის უფლებას, ხან
ნაძრახს ავტონომიურ მმართველობას,
კულტურულს, ექსტერიტორიულს და
საბოლოოდ ტერიტორიულსაც კი. აი,
საბოლოოდ ხელთა მატკს ახლად გამო-
სული ანჩინის წიგნიც „ერი და ჩვენ“.

რამ თორმეტი წლის განმავლობაში
მხოლოდ ორჯელ იყო სამშობლოში და
დედა-ენაც კი დაივიწყდა, მაინც მის
ნორჩ გულში ღრმად იყო ჩანერგილი
სამშობლო კუთხის სიყვარული. მის
მოწერილ წერილებში ბავშობიდანვე
ჩანდა, რომ ქართული სული და გული
რუსული ასობებით იყო გაღმორცმული.
მომავალ ზოგი ერთი სიტყვები მის წე-
რილიდან:

„დედა, ზენ ნუ ჯავრობ რომ ქართუ-
ლი დამავეწყდა, ჩემი მიზანი მხოლოდ
ის არის, რომ გათავებისას დავბრუნდე
სამშობლოში და პირველადვე დედა-ენა
შევიწავლო. რომ მეცხოვრებოდე
მანდ.“

*) იხ. ნ. ჟ.-ს „ქართველი ხალხი და
ნაციონალიზმი“ ბროშურად გამოსული
1908 წ. გვ. 1, 2, 4, 3, 5.

2) იხ. ან ჩინი „ერი და ჩვენ“, გვ. 9,
7, 11, 12, 13,

„საქართველო“

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე — 2 მ. 25 კ.; ერთის თვით — 90 კ.
ფოსტის აღრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე — 2 მ. 25 კ.; ერთის თვით — 90 კ.
ფოსტის აღრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

ჩვენ ვებრძვირთ პრინციპს ბატონობისა და არა სამშობლო ტერიტორიას, და შემდეგ: „არაინ თანამოაზრეთა შორის ისეთი, რომელთაც კონიათ ამიერ კავკასიის თვითმართველობა ნაადრევად, შეუფერებლად, ამიტომ დასაგმობად; სამაგიეროდ ისინი აღიარებენ საქართველოს თვითმართველობას. როცა ამას ამბობენ ფედერალისტები, ისინი ლოლიკას მაინც არ ღალატობენ, მათ სურთ საქართველო გადააქციონ ერთეულად და შიგ გააბატონონ ერთი ერთი. ეს ტერიტორიულ პრინციპიდან გამომდინარეობს...“ და სხ. ამ ამონაწერის შესახებ ანჩინი ასე უპასუხებს: „ზევით მოყვანილ გრძელ ციტადიდან კი შეიძლება ისეთი დასკვნა გამოიყვანოს მკითხველმა, თითქოს ან. ებრძვის არა „ბატონობას“, არამედ „სამშობლო ტერიტორიას“! მართლაც გამოდის, თითქო ჩვენს დანიშნულებას შეადგენს ბრძოლა ერთეულ საქართველოს წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა ის არ გულისხმობს ბატონობას! თითქო მთელი ქართველი ერი, პირველ რიგზე, მშრომელი მასსა ყველამდე დაინტერესებული იყოს საქართველოს დაქაქულად არსებობაში!“

ოცდებით, განა, როდესაც ასეთი სიტყვები ს. ლტისგან გესმის! მაგრამ ეს რაა. მოუხმინეთ ცოტა ქვეით: „საქართველოს თვითმართველობა არ ეწინააღმდეგება არც ლოლიკურად, არც პრინციპიალურად ჩვენს ზოგად ეროვნულ პროგრამას...“ და შემდეგ: „...საქართველოს თვითმართველობა გვიქადის მეტ ნაციონალისტურ ნჯღრევასა და აურზაურს, ვინემ ამიერ-კავკასიის თვითმართველობაო. ნუ თუ მართალია ეს აზრი? არა; არ არის მართალი. (ხაზი ანჩინისა. დ. კ.) ამიერ-კავკასია უფრო აქრელებულია ეროვნულად, ვინემ საქართველო; პირველში გაცილებით უფრო დიდია განსხვავება ერთა შორის კულტურულად და ეკონომიურად, ვინემ მეორეში, აქედან პირველში ნაციონალიზმ-მოვინიზმს უფრო მადლიანი ნიადაგი ექნება, ვინემ მეორეში... მაშ რაშია საქმე, რატომ ფიქრობს ან..., რომ საქართველოს თვით-

მართველობა ქვეყნის დაქვევას მოასწავებს, ხოლო ამიერ-კავკასიის თვითმართველობა „კაცთა შორის სათნოებას“? ან კიდევ: „საქართველოს ტერიტორია-ლური თვითმართველობა დადებით ღირებულებას წარმოადგენს, ის საყვებით ეთანხმება ერის სოციალ-ეკონომიურ გაერთიანებას. ეს მოთხოვნა ზედმიწევნით პროგრესიულია...“

მაგრამ ციტატები შორს წაგვიყვანს. თვითეული სიტყვა საგულისხმეოა, საგულისხმეოა მით უმეტეს, რომ იგი ერთობ არღვევს ბ-ნ ანის ცრუ და ყალბ დებულებათ, რომელნიც წმიდა ცნების დაფად უქვეით ჯერ კიდევ მის მოწაფეებს. ამაჰამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნ ანჩინს აქ თითქმის არასოციალისტებიც კი ხელს მოუწერენ. საოცარია მხოლოდ ერთი რამ, რატომ მოხდა, რომ ყოველივე ის, რის გარშემოც ესოღარ კამათია ატეხილი თვით „ძლევა-მოსილ პროლეტარიატთა“ ბანაკში, როგორც გაბრტყელებულ ტიტულით ამბობენ ჩვენს უპატივისცემელ იყო, სამარცხინო ზომზე გაკრული? რატომაა, რომ მთელი ფარსმალი ს.-დ-ტებისა ეროვნულ საკითხის გარშემო თითქმის აღარაღვრთი განსხვავდება არჩილ ჯორჯაძის ფარსმალისგან, ეს იმ არჩილ ჯორჯაძის ფარსმალისგან, ვისაც თავზე კაკალს ამტვრევდნენ და მამულიშვილობის ნაცვლად მოხელეთა და თავად-აზნაურთა იდეოლოგიად გამოჰყავდათ? ახლა ჩვენ ეხება, რომ ერის სასარგებლოდ ყოველისფერი ახმუროდა. პირველი სტიმული თუნდა ის არის, რაიც ბ-ნმა ანჩინმა ფილოსოფოს დეკარტის სიტყვებით დაახასიათა: „cogito ergo sum“, „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“, იმ განსხვავებით, რომ დეკარტს ის სიტყვები კი არ „წამოუსროლია“, როგორც ბ-ნი ანჩინი ამბობს, არამედ სრულიად შეგნებით წარმოსთქვა და მთელს სიცოცხლეში თვის ფილოსოფიის ქვაკუთხედად ამ დებულებას აღიარებდა ანჩინი ამ დებულების შემდეგ სწორედ ისე მსჯელობს, როგორც შეიძლება ემსჯელა ჯორჯაძის, როგორც იმსჯელებს ყოველი პატიოსანი და ქკვათ მყოფელი მამულიშვილი. ესა

საყოველთაოდ ითქვა, რომ თურმე ერზეც იგივე ითქმის, რაც დეკარტმა მარტო პირველების შესახებ წარმოსთქვა. „როცა ერის შემადგენელი ადამიანთა კრებული გრძობს თავის ერთობას, ჭირში და ლხინში განუყრელობას, და ეს გრძობა გადააქვს აზროვნებაშიც, მაშინ მას შეუძლია ითქვას, რომ ის არის ერთი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ბუნება, გეოგრაფია, ერთნაირი თავდადასავალი, ხასიათი, ენა, ადათი და ბევრი სხვა არის ის ელემენტები, რომლისაგან იქმნება დროთაგანმავლობაში ერთი.“ დიას, დიას! ყველა ეს „ატრიბუტები დიდხანსა ისეთი საშინაო სიტყვებით ითვლებოდა, რომ მათი წარმოთქმა „ძლევა მოსილ“ პარტიის ლიდერთ მხოლოდ წინწყევლაში შეეძლოთ ჩაესვათ, რათქმა უნდა, ირონიით და ბრალდება წამოესროლიათ, ეს ფეოდალების დახვეწებული აზრებიაო. აქ ბ-ნი ანჩინი მეგობრებს უსწრობს. სიტყვა მისი ერთგვარი სინანულია. მართალია, ამ მოქცეულს ჯერ კიდევ ნათლად საყვებით არ ახსენია თვალთ, მაგრამ ის, რაც ითქვა, ჯერჯერობით დიდ რანდობად უნდა ჩაეთვალოს, დადგა დრო შევივნათ ყველამ, რომ მამულიშვილობის ღირსება არ შეიძლება წარამარად ითქვეოდეს ბრმა დოქტრინების გამო, რომელთაც ცხოვრებაში ნაკლები გასაველი აქვსთ. რა არის მამულიშვილობა? ეს ხაფანგი კი არ არის ზებურ-ფეოდალ-ბიუროკრატებისა, როგორც ამბობენ მოწინააღმდეგენი, არამედ უსაზღვრო, კეთილშობილური სიყვარული სამშობლოსი, უსაზღვრო სიყვარული სამშობლო ენისა, თვისტომისა, მისი სულისა, მისი ადათ-ჩვეულებისა, რითაც აღზრდილია თვითეული ჩვენთაგანი, რითაც ერთი ერთი მეორისაგან განისაზღვრება სამშობლო თუ მშობლიურ ერს გამოაკლდება, იგი უბრალო გეოგრაფიულ ტერიტორიად დარჩება და მეტი არაფერი. თუ ეროვნება, თუ მამულიშვილობა მხოლოდ ინტელიგენციისა და თავად-აზნაურთა ჯგუფის მიერ იქნება წამოყენებული, როგორც ამას ირწმუნებოდა ბ-ნი ნ. ჟორდანიანი, თუ იგი ვიწრო ჯგუფის

მობრძობად იქნებოდა აღიარებული, როგორც უარყოფილი რამ, მოკლებული შემოქმედების უნარს და აღესილი სხვა ერთა სიძულვილით, თუ ქართველ ერს არ ექნებოდა საკუთარი ეროვნული სახე, საკუთარი სული, რითაც იგი განსხვავდებოდა დანარჩენ ერებისგან, მაშინ იგივე შეიძლება გვეთქვა ყველა ერის შესახებ, ფრანგებზე, გერმანულ-ინგლის-რუსებზე, და თუ ის ასეთს სახით გასაზოგადოებდებოდა, მაშინ ყოველად შეუძლებელი იყო გაგვეყო მეოცე საუკუნის საშინელი გვირგვინი — გლეჯა-ფლეთისა, შეუძლებელი იყო გამოგვეკვია დღევანდელ ომის მიზეზები, და ბოლოს შეუძლებელი იყო გაგვემართებინა ვანდერველდე, სემბა-გელ-შეიდმან-ფრანკი, ჰაზე და ათასი სხვა, რომელნიც კერძოდ თავ-თავიანთ ერებს ამართლებენ, თვითეული მათგანი მეორეს ბრალსა სდებს, ითხოვს პასუხისმგებლობას. რად მოხდა ასე? იმიტომ, რომ იქაც, როგორც აქ, დოქტრინების წყალობით გაბატონებული იყო პარტიული რუთინა, რის გამოც წარმოიშვა მამულიშვილობის გრანდიოზული შეუგნებლობა მთელს ისტორიის სარბიელზე. მიძინებულმა გრძობამ მხოლოდ ამ საერთაშორისო კატასტროფის დროს იფეთქა, განჭარბდა სოფიზმი, ცრუ ფილოსოფია და გზა დაეთმო საღს, გულიდან აღმოხეთქელ ფაქიზ გრძობას — მამულიშვილობას. მამულიშვილობის ალიო ეს ბნელი, რეაქციული ძალა კი არ არის, არამედ მთავარი ძალა, სტიმული მთელი ისტორიული მსვლელობისა, მსოფლიო პროცესის ორგანული საფუძველი. ერი, ეს მსოფლიო ისტორიის კეკლეუტი არშის ნაქარგი უჯრედები განლაგეთ, ერთერთიან ბრძოლაში და გასულა-გამოსვლით გადადუღებული ორგანიზმი, ეტნოგრაფიულ ელემენტთა ცოცხალ-ცოცხალი სინთეზი, რაიც ყოველ წუთსა და წამს ახალ ახალ შინაარსს იცავს, ახალს შემეცნებით იგზნება ლამპრად! სამშობლო, რის დასაცველად გვიწვევს მამულიშვილური გრძობა, უბრალო გეოგრაფიული ტერიტორია კი არა, არამედ უმაღლესი სულიერი გრძობა გახლავსთ, რასაც გულში ვატარებთ მამულიშვილური, რასაც გულში ვატარებთ მამულიშვილური, რასაც გულში ვატარებთ მამულიშვილური. იგი ნამდვილი ალი-

ტის კიდობანია, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გარდმოეცემა მოწიწებით და საღმრთო ცეცხლით. იგი სულია თვით სახელმწიფო სხეულისა, არამატერიალური რამ, რაიც მატერიალურში თავსდება, ცხოველ ლამპრად ითვება. როდესაც ქართველობა, ჩვენი წინაპრები იცავდნენ მამულს უცხოთა შემოსევისგან, ეს კაციაშიობით კი არ მოსდიოდათ, არამედ ამით იგინი იცავდნენ თავიანთ ეროვნულ აღთქმის კიდობანს, ქართულ წმიდათა-წმიდას, საღმრთო ტაძარს. მამულიშვილობა მსიხოლო-გიური და ეტიური თვალსაზრით მხოლოდ უმაღლესი ექსტაზია, ეროვნულ გრძობის ბაირალი! ვიდრე მოქცეული ბ-ნი ანჩინი ამ უბრალო ქეშმარიტებას მართლა ქეშმარიტებად არ აღიარებს და ყველა თვის დებულებათ მიუმატებს საექცო „მაგრამს“, იქნობამდე ყველა მისი კამათი ეროვნულ საკითხის გარშემო მოკლებული იქნება ლოგიკურს ნიადვს. ჩვენი გულწრფელი სურვილია აქ, ამ წერტილზე არ შეყინულიყოს იგი, თავი დაედოს მეტს გულწრფელობაზე და მაშინ, მხოლოდ მაშინ, თამამად ეთქმის, აი, მართლაც და „რუბიკონი გადავლახე“ — რ. ჯერჯერობით კი გადალახვა შორსაა. მის მეთაურობით ექსკურსანტების დაბრუნება ნელი, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით, სწორედ ამ რობიკონამდე მოხდა. საქართველო მხოლოდ რუსულ გენერალურ შტაბის ოპეკიდან სრული განთავისუფლება, რომ მათს დირექტივების ქვეშ არ გასრისონ როგორც თავისი პიროვნება, ისე სამშობლოს სახიერება. აი, მაშინ შეუძლიან სთქვას კენისის გარდამწყვეტი სიტყვა: *alca iacta est!* მაგრამ როდის იქნება ყველა ეს? ან იტყვიან რომელსე ჩვენებური სოცი-ალ-დემოკრატები? როგორ არა, იტყვიან. წინააღმდეგი ვერც კი წარმოიადგენია. ოღონდ ეს დროსა და გარემოება-ნეა დამოკიდებული. ეს დრო კი არც ისე შორს უნდა იყოს. ამას ჰქონებოდა ბ-ნ ანჩინის წიგნი „ერი და ჩვენ“, ამასვე ჰქონებოდა ახალ მერცხალთა გუნდი, რომელნიც აღარ ეკრძალებიან ეროვნულ საკითხს და ცხადად თუ ფარულად ძველ შეცდომებს აღიარებენ.



„ვეფხვი“ კარლო ჩხეიძე: რის საქართველო, რა საქართველო, ნეტავი ბურცევის როგორ ვუშველო?!

საქართველო

წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე — 2 მ. 25 კ.; ერთის თვით — 90 კ.
ფოსტის აღრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

3) ibid, გვ. 69, 70, 71.

5) ibid, გვ. 72, 73, 98.

4) ანჩინი „ერი და ჩვენ“ გვ. 9—10.
5) ნ. ჟ.—ია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“.

